

ასოცირების ხელშეკრულების შესრულება საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში

შედარებითი ანალიზი 2021 წლი



2014 წელს ევროკავშირმა ასოცირების ხელშეკრულებები გააფორმა სამ ქვეყანასთან - საქართველოსთან, მოლდოვასა და უკრაინასთან - რათა აღმოსავლეთ პარტნიორობის 2009 წლის პრალის სამიტის დეკლარაციაში წარმოდგენილი მიზნის მიხედვით, ხელი შეეწყოს მათ გაერთიანებაში პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკურ ინტეგრაციისთვის. 2017 წელს ბრიუსელში გამართული აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ შემოიღებდნენ მაღალი დონის დიალოგს და ამ გზით მხარს დაუჭერდნენ ევროკავშირსა და ასოცირებულ პარტნიორებს შორის ხელშეკრულებების შესრულებას. 2019 წლის 13 ნოემბერს კი ასოცირების ხელშეკრულებისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ჩარჩოს შესაბამისად სამივე ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმების წარმომადგენლებმა წარმოადგინეს ერთობლივი დეკლარაცია, სადაც ისინი სამივე ქვეყანას მოუწოდებდნენ შექმნილიყო სამხრეთი თამაშრომლობის ფორმატი, ხოლო ევროკავშირს მოუწოდებდნენ მოეხდინა ამ ფორმატთან თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაცია (EU+3 ფორმატი). 2019 წლის 5 დეკემბერს საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრების ერთობლივი წერილი წარედგინა ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში. წერილში მინისტრები ევროკავშირს მოუწოდებდნენ ხელი მოეწყოდა ურთიერთგაგების შემორანდუმს და ჩამოყალიბებული მაღალი დონის თანამშრომლობა „ასოცირებულ ტრიოსთან“. ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორების ქვეყნებმა გარკვეული პაუზის შემდეგ გადაწყვიტეს 2021 წლის დეკემბერს ჩაეტარებინათ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი. ეს ნიშნავს, რომ არსებული გლობალური პანდემია ხელს ვეღარ შეუშლის ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებს შორის მაღალი დონის თანამშრომლობის ფორმატების არსებობას.

მოცემული დოკუმენტი, რომელიც შედარებით ანალიზს წარმოადგენს იმ მიზნით მომზადდა, რომ გამარტივდეს სამი ქვეყნისთვის თანამშრომლობისა და საუკეთესო პრაქტიკის კუთხით საერთო ინტერესების გამოძებნა. აქ წარმოდგენილია ძირითადი ინფორმაცია რათა გავეცნოთ და უკეთ გავიგოთ სამი ასოცირებული ქვეყნის არსებული მდგომარეობა. ასოცირების ხელშეკრულების შესრულების მიმართულებით არსებული პროგრესი; შიდა პოლიტიკური კონტექსტი, ისევე როგორც ხელშეკრულების შესრულების სამთავრობო და საპარლამენტო მექანიზმი და მათში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა. აქვე წარმოდგენილი ევროკავშირთან თანამშრომლობის ძირითადი მონაცემები, როგორც უსაფრთხოების, ასევე ვაჭრობის მიმართულებით.

შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს მნიშვნელოვან ნიუანსებს. ზოგადად ევროკავშირის მიერ უკრაინასთან გაფორმებული შეთანხმება უფრო ღრმა ინტეგრაციის შესაძლებლობას იძლევა, სხვა საკითხებთან ერთად იგი მოიცავს ევროკავშირის მიერ ერთიან ბაზარზე სექტორალურ ინტეგრაციის შესაძლებლობას. მხოლოდ უკრაინის შემთხვევაშია, როდესაც ევროინტეგრაციის პროცესს კოორდინირებას უწევს ვიცე-პრემიერ მინისტრის აპარატი და არა საგარეო საქმეთა მინისტრო. საქართველოსა და უკრაინის პარლამენტებში ცალკე არსებობს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი, მოლდოვის პარლამენტში კი ეს საკითხი საგარეო ურთიერთობების კომპეტენციაში შედის. კანონმდებლობითი საქმიანობის კუთხით საპარლამენტო კომიტეტების საქმიანობა საგრძობლად განსხვავდება, თუმცა სამივე ქვეყნის შემთხვევაში კანონპროექტებზე მათ დასკვნას სავალდებულო ძალა არ გააჩნია.

პარლამენტის წევრების მიერ მომზადებული კანონპროექტები საქართველოსა და მოლდოვაში საჭიროებენ ევროკავშირის სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობის შემოწმებას მაგრამ უკრაინის შემთხვევაში ეს საჭირო არ არის. უკრაინაში (სადაც, საკანონმდებლო აქტების ძირითადი ნაწილი პარლამენტის წევრების მიერ მზადდება) კანონპროექტზე დასკვნას მთავრობის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის თვისი ამზადებს. საინტერესოა ნიუანსებია ასევე ორმხრივ სამოქალაქო საზოგადოებების პლატფორმების შემადგელობებში, რომელიც ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა და რომლის წევრები ერთი მხრივ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს, მეორე მხრივ კი ევროკავშირს წარმოადგენენ. მოცემულ ეტაპზე სამივე ქვეყანა ასოცირების ხელშეკრულების Annex-ების განახლებაზე მუშაობს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოსარჩევი უკრაინაა.

წარმოდგენილი პუბლიკაცია მომზადებულია: ვანო ჩხიკვაძის, იულიან გროზასა და ლეონიდ ლიტრას მიერ. მომზადებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ვერონიკა მოვჩანამა. საწყისი დოკუმენტი მომზადებული პროექტ „Civic Synergy“-ს მიერ.


The authors also used information from the following publications:

1. Wolczuk, K. (2018) 'The Development of an Institutional Framework for the Implementation of the Association Agreements in Georgia, Moldova and Ukraine: a comparative perspective', European Parliament, Directorate General for External Policies of the Union, Study PE 603.879, September.
[http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2018/603879/EXPO_STU\(2018\)603879_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2018/603879/EXPO_STU(2018)603879_EN.pdf)
2. Van der Loo, G. (2017) 'A Comparative study of the Association Agreements and DCFTAs concluded with Ukraine, Moldova and Georgia', CEPS Working Paper.
<https://3dcftas.eu/publications/a-comparative-study-of-the-aa-and-dcftas-concluded-with-ua-mo-and-ge>
3. Non-Paper: Post-2020 Eastern Partnership deliverables for the three EU associated countries – Georgia, Republic of Moldova and Ukraine
<http://ipre.md/2020/10/30/non-paper-post-2020-eastern-partnership-deliverables-for-the-three-eu-associated-countries-georgia-republic-of-moldova-and-ukraine/?lang=en>
4. Emerson et al. (2021) Deepening EU-Ukrainian Relations: Updating and Upgrading in the Shadow of COVID-19. Third Edition.
<https://3dcftas.eu/publications/deepening-eu-ukrainian-relations-updating-and-upgrading-in-the-shadow-of-covid-19.-third-edition>
5. Emerson et al. (2021) Deepening EU-Moldovan Relations: Updating and Upgrading in the Shadow of COVID-19. Third Edition.
<https://3dcftas.eu/publications/deepening-eu-moldovan-relations-updating-and-upgrading-in-the-shadow-of-covid-19.-third-edition>
6. Emerson et al. (2021) Deepening EU-Georgian Relations: Updating and Upgrading in the Shadow of COVID-19. Third Edition.
<https://3dcftas.eu/publications/deepening-eu-georgian-relations-updating-and-upgrading-in-the-shadow-of-covid-19.-third-edition>

ეს პუბლიკაცია მომზადდა ევროკავშირის თინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან მხოლოდ ავტორები და ის არ გამოხატავს ევროკავშირის და უკრაინის საერთაშორისო რენესანსის ფონდის პოზიციებს.

ზოგადი ინფორმაცია


ტერიტორია



↑ საფრანგეთი
551 695 კმ²

↓ მალტა
316 კმ²

მოსახლეობა



↑ გერმანია
82,9 მლნ.

↓ მალტა
0,47 მლნ.


მშპ (2020) (აშშ დოლარი)



↑ გერმანია
3 751 მლრდ.

↓ მალტა
\$14,6 მლრდ.

მშპ (PPP) ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)



↑ ლუქსემბურგი
115 873

↓ ბულგარეთი
9 975

↑ ევროკავშირში ყველაზე დიდი

↓ ყველაზე პატარა

შიდა აქტორები და ევროინტეგრაციის მიმართ მხარდაჭერა

პარლამენტი

პრემიერ მინისტრი

საქართველო




წევრების რაოდენობა სულ

149

უმრავლესობა
84

ქართული ოცნება



ფრაქციები / დეპუტატების რაოდენობა

● ქართული ოცნება	84	● ევროპელი სოციალისტები	4
● ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გაერთიანებული ოპოზიცია	31	● გირჩი	3
● ლელო – პარტნიორობა საქართველოსთვის	7	● მოქალაქეები	2
● შარლ მიშელის რეფორმისტთა ჯგუფი	7	● სხვა დეპუტატები	11

ოპოზიციური პარტიები (წევრების საერთო რაოდენობა **46**):



ირაკლი ლარიბაშვილი

ქართული ოცნება

★ პროევროპული

მოლდოვა




წევრების რაოდენობა სულ

101

აბსოლუტური უმრავლესობა
63

მოქმედებისა და სოლიდარობის პარტია



ფრაქციები / დეპუტატების რაოდენობა

● მოქმედებისა და სოლიდარობის პარტია (PAS)	63
● სოციალისტთა და კომუნისტთა ბლოკი	32
● Shor-ის პარტია	6



ნატალია გავრილიუტა

მოქმედებისა და სოლიდარობის პარტია

★ პროევროპული

უკრაინა




წევრების რაოდენობა სულ

422

ერთპარტიული უმრავლესობა
244

პარტია "ხალხის მსახური"



ფრაქციები / დეპუტატების რაოდენობა

● „ხალხის მსახურის“ პარტია	244	● ბაკვიშინა	25
● ოპოზიციური პლაფტორმა სიცოცხლისთვის	44	● ჯგუფი მომავლისთვის	20
● უპარტიო	20	● პარტია ხმა	20
● ევროპული სოლიდარობის პარტია	27	● ნდობის ჯგუფი	20
		● ვაკანტური	28



დენის შმიხალი

პარტია "ხალხის მსახური"

★ პროევროპული

პრეზიდენტი



სალომე ზურაბიშვილი
დამოუკიდებელი მაგრამ
მხარდაჭერილი ქართული
ოცნების მიერ

★ პროევროპული

ძალაუფლება:

- მთავრობის თანხმობით ქვეყანას წარმოადგენს საერთაშორისო ასპარეზზე
- არ შეუძლია საგარეო საქმეთა მინისტრობის კანდიდატის წარდგენა
- აქვს ვეტოს უფლება, რომელიც შეიძლება დაიძლიოს პარლამენტის უბრალო უმრავლესობის მიერ


ევროკავშირში ინტეგრაციის კურსი



ჩანერილია კონსტიტუციაში

(2018 წ.)

საზოგადოების აზრი საგარეო პოლიტიკის შესახებ



მოსახლეობისმხარს უჭერს ევროკავშირში ინტეგრაციას

76%

არ უჭერს მხარს **11%**

(2021)¹



მაია სანდუ
მოქმედებისა და
სოლიდარობის პარტია


★ პროევროპული

ძალაუფლება:

- ქვეყანას წარმოადგენს საერთაშორისო ასპარეზზე (მთავრობასა და პარლამენტთან თანამშრომლობით)
- პარლამენტის კოალიციის გადანაცვებით ნომინირებას უკეთებს პრემიერ მინისტრის კანდიდატურას
- არ შეუძლია საგარეო საქმეთა მინისტრობის კანდიდატის წარდგენა
- აქვს ვეტოს უფლება, რომელიც შეიძლება დაიძლიოს პარლამენტის უბრალო უმრავლესობის მიერ



არ არის ჩანერილი კონსტიტუციაში



მოსახლეობისმხარს უჭერს ევროკავშირში ინტეგრაციას

57%

არ უჭერს მხარს **28%**

(2021)²



ვლოდიმირ ზელენსკი
პარტია "ხალხის მსახური"

★ პროევროპული


ძალაუფლება:

- ქვეყანას წარმოადგენს საერთაშორისო ასპარეზზე
- აღმინისტრირებას უწევს ქვეყნის საგარეო პოლიტიკას
- პარლამენტის კოალიციის გადანაცვებით ნომინირებას უკეთებს პრემიერ მინისტრის კანდიდატურას
- აქვს ვეტოს უფლება, რომელიც შეიძლება დაიძლიოს პარლამენტის საკონსტიტუციო უმრავლესობის (300 დეპუტატი) მიერ



ჩანერილია კონსტიტუციაში

(2019 წ.)



მოსახლეობისმხარს უჭერს ევროკავშირში ინტეგრაციას

54%

არ უჭერს მხარს **20%**

(2021)³

¹<https://bit.ly/3vcFaSe>

²<https://ipp.md/2021-07/barometrul-opinieii-publice-iunie-2021/>

³https://www.iri.org/sites/default/files/wysiwyg/public_-_03.2021_national_eng_public.pdf

ასოცირების ხელშეკრულება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე/DCFTA



ამოქმედება, პირობითად ამოქმედება და ხანგრძლივობა

- ▶ DCFTA ნაწილი პირობითად ამოქმედდა 2014 წლის სექტემბრიდან
- ▶ ხელშეკრულება სრულად ამოქმედდა 2016 წლის 1 ივლისიდან
- ▶ ხელშეკრულება გაფორმებულია უვადოდ
- ▶ DCFTA ნაწილი პირობითად ამოქმედდა 2014 წლის სექტემბრიდან
- ▶ ხელშეკრულება სრულად ამოქმედდა 2016 წლის 1 ივლისიდან
- ▶ ხელშეკრულება გაფორმებულია უვადოდ
- ▶ ხელშეკრულების ზოგიერთი ნაწილი პირობითად ამოქმედდა 2014 წლის 1 ნოემბრიდან DCFTA ნაწილი პირობითად ამოქმედდა 2016 წლის 1 იანვრიდან
- ▶ ხელშეკრულება სრულად ამოქმედდა 2017 წლის 1 სექტემბრიდან
- ▶ ხელშეკრულება გაფორმებულია უვადოდ
- ▶ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების საფუძვლიანი გადახედვა დაგეგმილი მისი სრულად

★ ევროკავშირისკენ სწრაფვა

ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა არ არის ნათლად განერილი

- ▶ აღიარებული როგორც აღმოსავლეთ ევროპული სახელმწიფო
- ▶ აღიარებულია როგორც ევროპული ქვეყანა

🌐 ევროპულ სამეზობლო პოლიტიკასა და აღმოსავლეთ პარტნიორობაზე რეფერირება



დიახ



დიახ



არა

🏠 პოლიტიკური დიალოგი

- ▶ მრავალმხრივი სამიტები ევროკავშირთან აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატში
- ▶ მრავალმხრივი სამიტები ევროკავშირთან აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატში
- ▶ მრავალმხრივი სამიტები ევროკავშირთან აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატში
- ▶ ევროკავშირისა და ეროვნული მთავრობის მაღალი დონის შეხვედრა (21.11.2018)
- ▶ ევროკავშირ-უკრაინის ყოველწლიური სამიტი, რომელიც განსაზღვრულია ასოცირების ხელშეკრულებით

👏 ასოცირების ხელშეკრულების ძირითადი ელემენტები

დემოკრატიული პრინციპების, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა

დემოკრატიული პრინციპების, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა

დემოკრატიული პრინციპების, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა + კანონის უზანაესობის პრინციპის პატივისცემა, სუვერენიტეტის, საზღვრის ურღვეობის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის მხარდაჭერა.

ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მიერ, ამ პრინციპების დარღვევა შეიძლება მეორე მხარის მიერ ასოცირების ხელშეკრულების დაუყოვნებლივ შეჩერების წინაპირობა გახდეს

➡ თანამშრომლობა ერთიან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართულებით

- ▶ „გაყინულ“ კონფლიქტებთან ან სადაო ტერიტორიებთან დაკავშირებული მუხლები
- ▶ პირდაპირ ითვალისწინებს თანამშრომლობას ევროპული თავდაცვის სააგენტოსთან (EDA)
- ▶ ტერორიზმთან, იარაღის უკანონო ვაჭრობასთან და კონვენციით აკრძალულ შეიარაღების გავრცელებასთან დაკავშირებული მუხლები
- ▶ ითხოვს საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს რომის სტატუტის რატიფიცებას



საქონლით ვაჭრობა / სავაჭრო მხარდაჭერა

არ ითვალისწინებს ვაჭრობის ტრანზიციულ ასიმეტრიულ ლიბერალიზაციას რადგანაც 2006 წლიდან საქართველოს პროდუქტების დიდ ნაწილზე გაუქმებული აქვს იმპორტის ტარიფები

ითვალისწინებს ვაჭრობის ტრანზიციულ ასიმეტრიულ ლიბერალიზაციას:

- DCFTA პროგრესულად ჩამოყალიბდება მომდევნო 10 წლის თავზე;
- ევროკავშირი ამცირებს ან აუქმებს ტარიფებს უფრო სწრაფად (უმეტეს შემთხვევაში ხელშეკრულებაში ძალაში შესვლისთანავე)
- უპირატესი წვდობა ევროკავშირის ბაზაზე ავტონომიური სავაჭრო პრეფერენციების საშუალებით (ATP):

მოლოდინა: ინდუსტრიულ საქონელზე (2008 წლიდან), ღვინოზე და ზოგიერთი ტიპის ხილსა და ბოსტნეულზე (2014-2015 წწ-ში)

უკრაინა: DCFTA სატარიფო რეჟიმში უკრაინულ პროდუქციაზე (2014 წლის აპრილი-2015 წლის დეკემბერი)

- სექტორალური დაცვის ზომების არ არსებობა
- საბაჟო გადასახადების გაუქმების უარყოფითი სია: მხოლოდ ის სატარიფო ბარიერები, რომელიც არ არის შესული ზოგადი ლიბერალიზაციის ვალდებულებაში
- სატარიფო კვოტები სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე
- ანტიკუმულაციური მექანიზმი სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე (ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გარკვეული რაოდენობის საიმპორტო პროდუქციაზე პრეფერენციული მოპყრობის შეჩერება)

- სექტორალური დაცვის ან გარდამავალი ზომები (ავტომობილები, ექსპორტის გადასახადები და ტექსტილი)
- იმპორტირებულ პროდუქციაზე საბაჟო გადასახადების გაუქმების დადებითი სია: DCFTA ნაკლებად პროგრესულია რადგანაც ის ითვალისწინებს ყველა სატარიფო ბარიერს რომელიც უნდა შემცირდეს ან აღმოიფხვრას
- სატარიფო კვოტები სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ანტიკუმულაციური მექანიზმის არ არსებობა

ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში (TBT)

შესაბამისობის შეფასება და ინდუსტრიულ პროდუქციის მიღება, როგორც მიზანი

სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები (SPS)

SPS სტრატეგიები: დამატებით ნარდგენა ასოცირების ხელშეკრულებასთან მიმართებაში

- ✓ მიღებულია დამტკიცებულია ევროკავშირის მიერ (2016 წლის ივნისში)
- ✓ მიღებულია დამტკიცებულია ევროკავშირის მიერ (2017 წლის მარტში)
- ✓ მიღებულია დამტკიცებულია ევროკავშირი-უკრაინის მიერ SPS ქვეკომიტეტის მიერ (2019 წლის ნოემბერში)

სერვისები და კომპანიის დაარსება

- შიდა ბაზრის პრინციპების გავრცელება არ არის გათვალისწინებული
- შიდა ბაზრის პრინციპების გავრცელება გათვალისწინებულია საფოსტო და კურიერულ მომსახურებაზე, ტელეკომუნიკაციაზე, ფინანსულ მომსახურებაზე, საერთაშორისო საზღვაო ტრანსპორტის მომსახურებაზე (დაკავშირებულია რეგულაციების დაახლოების პირობასთან)

მუშახელის გადაადგილება

- არ არის გათვალისწინებული
- არადისკრიმინაციული მიდგომა ლეგალურად დასაქმებულთათვის
- მუშახელის თავისუფალი გადაადგილება არ არის გათვალისწინებული

საჯარო შესყიდვები

ორმხრივი წვდომა შესაძლებელია 8 წლის შემდეგ, ოთხ წელიწადში (მოლოდინა) ან ხუთ წელიწადში (საქართველო,უკრაინა) წინაპირობას წარმოადგენს ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეროვნული კანონმდებლობის დაახლოება

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამთავრობო შესყიდვების შეთანხმებასთან მიერთების პროცესშია

მიერთებულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამთავრობო შესყიდვების შეთანხმებასთან

კონკურენცია

- საკანონმდებლო დაახლოების მუხლები არ არსებობს
- ზოგადი მუხლები მონოპოლიის წინააღმდეგ

- მიახლოების პუნქტი (მუხ. 256)
- TFEU შთავონებული წესები ანტიმონოპოლიური და შერწყმის შესახებ

სახელმწიფო დახმარების შესახებ შესაბამისი მუხლები არ არსებობს მაგრამ რეგულირება გუკავთებულია მსოფლიო საავტორო ორგანიზაციის შეთანხმებაზე

დეტალური ჩანაწერილი სახელმწიფო დახმარების შესახებ, თუმცა არ ითვალისწინებს ფართო ვალდებულებას სახელმწიფო დახმარების კონტროლის შესახებ

დეტალური ჩანაწერილი სახელმწიფო დახმარების შესახებ, მათ შორის ევროკავშირის მსგავსი სისტემის შემოღება სახელმწიფო დახმარების კონტროლის შესახებ

ენერგო რესურსებით ვაჭრობისა და ენერჯის სფეროში თანამშრომლობის რეგულირება

- მუხლები ტრანზიტის, ევროპის ენერჯეტიკულ გაერთიანებასთან თანამშრომლობის და საბაზრო პრინციპების შესახებ
- ენერჯის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე შესამე მხარის წვდომასთან დაკავშირებით
- ევროპის ენერჯეტიკული გაერთიანების წესებს ასოცირების ხელშეკრულებაზე უპირატესი ძალა აქვს

- მსგავსი უკრაინის ასოცირების ხელშეკრულების ნაწილთან, თუ არ ჩავთვლით რამოდენიმე მცირე გამონაკლისს
- ევროპის ენერჯეტიკული გაერთიანების წესებს ასოცირების ხელშეკრულებაზე უპირატესი ძალა აქვს

- ამბიციური და დეტალური როდესაც საქმე ეხება ენერჯეტიკით ვაჭრობის წესებს
- ადრეული შეტყობინების მექანიზმი
- განახლებულია დანართი XXVII რომლის მიხედვითაც გაძლიერებულია ენერგო სექტორში საკანონმდებლო დაახლოების პროცესის მონიტორინგი
- ევროპის ენერჯეტიკული გაერთიანების წესებს ასოცირების ხელშეკრულებაზე უპირატესი ძალა აქვს

ინტელექტუალური საკუთრების დაცვა

- ნაკლებად დეტალური წესები საავტორო უფლებებზე, სავაჭრო ნიშნებზე, დიზაინზე და პატენტის მოქმედებაზე
- GI-ებისთვის გარდამავალი პერიოდი არ არის.

- დეტალური წესები საავტორო უფლებებზე, სავაჭრო ნიშნებზე, დიზაინზე და პატენტის
- GI-ების გარდამავალი პერიოდი

ვაჭრობა და მდგრადი განვითარება

- კანონმდებლობის დაახლოების პროცესი არ არის განვითარებული
- დეტალური ვალდებულებები, რომელიც ეხება:
 - მრავალმხრივ შეთანხმებებს გარემოსდაცვით სფეროში
 - კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მხარდაჭერას
 - ტყის პროდუქტებით ვაჭრობის მხარდაჭერას და თანამშრომლობას გარემოს დაცვისა და შრომის პოლიტიკის სავაჭრო ასპექტებში
 - სამთავრობო კონსულტაციები
 - ბიომრავალფეროვნება

- (ზოგადი ჩანაწერი) საკანონმდებლო დაახლოების მუხლი # 290(2)

ტრანსპორტი

- ხელმწიფო შეთანხმება ერთიანი საავიაციო სივრცის შესახებ
- არ ითვალისწინებს შიდა ბაზრის პირობებს საერთაშორისო საზღვაო სატრანსპორტო მომსახურების სფეროში
- არ არის ნახსენები სახმელეთო, სარკინიგზო, შიდა საწყლონო ტრანსპორტის მომსახურების წვდომა ერთიან ბაზარზე

- ხელმწიფო შეთანხმება ერთიანი საავიაციო სივრცის შესახებ
- ითვალისწინებს შიდა ბაზრის პირობებს საერთაშორისო საზღვაო სატრანსპორტო მომსახურების სფეროში
- შესაძლო სამომავლოდ გაფორმდეს შეთანხმებები სახმელეთო, სარკინიგზო, შიდა საწყლონო ტრანსპორტის ერთიან ბაზარზე მომსახურების წვდომის შესახებ

ცვლილებები ასოცირების ხელშეკრულებაში და DCFTA-ში

შეთანხმებულია ევროკავშირთან

- დანართი III-A (TBTs)
დანართი XVI (საჭარო შესყიდვები)
- მოთხოვნილია შემდეგი დანართების გადახედვა: XV, XXVIII, XX

შეთანხმებულია ევროკავშირთან 2020 წელს:

- დანართი XV (სატარიფო კვოტები და ანტიკუმულაციური მექანიზმთან დაკავშირებული რაოდენობების შესახებ)

შეთანხმებულია ევროკავშირთან ერთობლივი შეფასების მომზადება, რომელიც ნარმოდგენილი იქნება 2022 წელს

- დანართი I-A (ტარიფების გაუქმების გრაფიკი)
- დანართი XXI (საჭარო შესყიდვები):
- დანართი XXVIII (ენერჯეტიკა)
- დანართი I-A (სატარიფო კვოტების შემცირება ქათმის ხორცზე და სხვა ქათმის პროდუქტების)
- დასრულებულია მოლაპარაკებები ფინანსულ სფეროში თანამშრომლობის დანართის (XLIV) და ტელეკომუნიკაციის, საფოსტო და კურიერული და საერთაშორისო საზღვაო ტრანსპორტით მომსახურების დანართის (XVII) განახლებაზე

- მოთხოვნილია საბაჟო დანართის (XV), გარემოს და კლიმატის დანართების (XXX-XXXI), აუდიო-ვიზუალური პოლიტიკის დანართის (XXXVII), ბიზნეს, მმართველობის, ბუღალტერიის და აუდიტის დანართების (XXXIV, XXXV, XXXVI) და მომხმარებელთა უფლებების დაცვის დანართის (XXXIX) განახლება.

სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმები (CSP)

ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმები



ევროკავშირის მხარე:

- 3 წარმომადგენელი ევროპის სოციალური და ეკონომიკური კომიტეტიდან
- 6 წარმომადგენელი წამყვანილი ევროპული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებიდან

საქართველოს მხრიდან:

- 3 წარმომადგენელი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციიდან
- 3 წარმომადგენელი ეროვნული დონის პროფესიული კავშირიდან
- 3 წარმომადგენელი დამსაქმებელთა ასოციაციიდან
- 9 წარმომადგენელი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებიდან (ხმის მიცემის გარეშე)

არჩევნები:

- 15 წევრი: აირჩევა ეროვნული პლატფორმის კრებიდან (ორ წელიწადში ერთხელ)
- 3 წევრი: აირჩევა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების საქართველოს ეროვნული პლატფორმის შექმნილი კომისიის მიერ

არ აქვს ცალკე სამუშაო ჯგუფები. კონსულტაციას გადის ეროვნულ სამუშაო ჯგუფებთან.



ევროკავშირის მხარე:

- 3 წარმომადგენელი ევროპის სოციალური და ეკონომიკური კომიტეტიდან
- 6 წარმომადგენელი წამყვანილი ევროპული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებიდან (4 არა ევროპის სოციალური და ეკონომიკური კომიტეტის ადგილი შევსებულია 2019 წლის ნოემბრის მდგომარეობით)

მოლდოვის მხრიდან:

- 3 წარმომადგენელი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციიდან
- 3 წარმომადგენელი ეროვნული დონის პროფესიული კავშირიდან
- 3 წარმომადგენელი დამსაქმებელთა ასოციაციიდან

არჩევნები:

- 3 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წარმომადგენელი: აირჩევა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების მოლდოვის ეროვნული პლატფორმის საერთო კრებაზე
- პროფესიული კავშირების სამი წარმომადგენელი + 3 დამსაქმებელთა ასოციაციის წარმომადგენელი: შესაბამისი სექტორების მიხედვით

არ გააჩნია ცალკე სამუშაო ჯგუფები. კონსულტაციას გადის ეროვნულ სამუშაო ჯგუფებთან.



ევროკავშირის მხარე:

- 9 წარმომადგენელი ევროპის სოციალური და ეკონომიკური კომიტეტიდან
- 6-მდე მუდმივი დამკვირვებელი, რომელიც წარმოადგენს ევროპული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს (დღე ფაქტო 7 დამკვირვებელი, 2021 წლის ოქტომბრის მდგომარეობით)

უკრაინის მხრიდან:

- 3 წარმომადგენელი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციიდან
- 3 წარმომადგენელი ეროვნული დონის პროფესიული კავშირიდან
- 3 წარმომადგენელი დამსაქმებელთა ასოციაციიდან
- (აქედან შევსებულია ორი)
- 6 სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი (WGs)

არჩევნები:

- 6 სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი + 3 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წარმომადგენელი: ირჩევს ეროვნული პლატფორმის ასამბლეა (ყოველ 2.5 წელიწადში)
- 3 პროფკავშირების წარმომადგენელი + 3 დამსაქმებელთა ასოციაციის წარმომადგენელი: შესაბამისი სექტორების მიხედვით
- WG 1 "პოლიტიკური დიალოგი, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა"
- WG 2 "თავისუფლება, მართლმსაჯულება, ადამიანის უფლებები"
- WG 3 "ეკონომიკური თანამშრომლობა, თავისუფალი სავაჭრო სივრცე, საზღვრისპირა თანამშრომლობა"
- WG 4 "დასაქმება, სოციალური პოლიტიკა, თანასწორი შესაძლებლობები და ჯანდაცვა"
- WG 5 "ენერჯეტიკა, ტრანსპორტი, გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილებები"
- WG 6 "მეცნიერება და ტექნოლოგიები, ინფორმაციული საზოგადოება, განათლება, ტრენინი და ახალგაზრდობა, კულტურა და სპორტი"

▶ ჯამში ჩართულია 280-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია



აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმები

მმართველი კომიტეტი:

- ეროვნული კოორდინატორი
- სამუშაო ჯგუფების 10 კოორდინატორი

მმართველი კომიტეტი:

- ეროვნული კოორდინატორი
- სამუშაო ჯგუფების 5 კოორდინატორი

მმართველი კომიტეტი:

- ეროვნული კოორდინატორი
- სამუშაო ჯგუფების 5 კოორდინატორი

ხუთი სამუშაო ჯგუფი (WG):

- WG 1 "დემოკრატია, ადამიანის უფლებები, კარგი მმართველობა და სტაბილურობა"
- WG 2 "ეკონომიკური ინტეგრაცია & ევროკავშირის პოლიტიკასთან დაახლოება"
- WG 3 "გარემოს დაცვა, კლიმატის ცვლილება და ენერჯო უსაფრთხოება"
- WG 4 "ხალხთა შორის კონტაქტები"
- WG 5 "სოციალური საკითხები, შრომის პოლიტიკა და სოციალური დიალოგი"



196 წევრი (ასოციირებული წევრების ჩათვლით)



100 წევრი



147 წევრი

ასოცირების ხელშეკრულების შესრულების სამთავრობო მექანიზმი

სტრატეგიული კოორდინაცია



ევროინტეგრაციის სამთავრობო კომისია

ხელმძღვანელობს პრემიერ მინისტრი

- ▶ მოადგილე - საგარეო საქმეთა მინისტრი
- ▶ მინისტრები
- ▶ შედგება სამუშაო ჯგუფებისაგან
- ▶ უწყებათაშორისი ქვეკომიტეტი DCFTA-ს თემაზე (ხელმძღვანელობს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე)



ევროინტეგრაციის სამთავრობო კომისია

ხელმძღვანელობს პრემიერ მინისტრი

- ▶ მინისტრები
- ▶ დამოუკიდებელი მარეგულირებლები (ეროვნული ბანკის მმართველი)



ევროინტეგრაციის ერთობლივი საპარლამენტო-სამთავრობო პლატფორმა

თანათავმჯდომარეები: პარლამენტის თავმჯდომარე და ვიცე-პრემიერი

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სამთავრობო კომიტეტი

ძირითადი მაკოორდინირებელი ინსტიტუტები და პირები

საგარეო საქმეთა სამინისტრო

▶ ევროინტეგრაციის დირექტორატი (27 საჯარო მოხელე)

საგარეო საქმეთა და ევროინტეგრაციის სამინისტრო

სახელმწიფო მდივანი
ევროინტეგრაციის დირექტორატი
▶ (19 საჯარო მოხელე)

ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში ვიცეპრემიერი

ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის სამთავრობო ოფისი, რომელიც მინისტრთა კაბინეტის სამდივნოს წარმოადგენს

სხვა ინსტიტუციური მხარდაჭერა

სამინისტროების დონეზე

- ▶ ევროინტეგრაციის დეპარტამენტები
- ▶ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის თანამშრომლები, ვინც პასუხს აგებს ევროინტეგრაციის თემატიკაზე

- ▶ პოლიტიკის ანალიზის, მონიტორინგისა და შეფასების დეპარტამენტი Department for: მეკავშირეების არაფორმალური ქსელი, რომლებიც ანგარიშვალდებული არიან ასოცირების ხელშეკრულების ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შესრულებაზე
- ▶ სახელმწიფო კანცელარიაში არსებული სამართლებრივი ჰარმონიზაციის ცენტრი

სამინისტროები:

- ▶ ევროინტეგრაციის საკითხებზე პასუხისმგებელი მინისტრის მოადგილეები
- ▶ სტრატეგიული დაგეგმარებისა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტები თითოეულ სამინისტროში

სამართლებრივი აქტების პროექტების შესაბამისობის შემოწმება ასოცირების ხელშეკრულებასთან



ხორციელდება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილის მიხედვით

კეთდება სამინისტროების მიერ, ხოლო გადამოწმებას ახდენს იუსტიციის სამინისტრო



ხორციელდება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილის მიხედვით

კეთდება სამინისტროების მიერ, გადამოწმებას ახდენს სახელმწიფო კანცელარიაში არსებული სამართლებრივი ჰარმონიზაციის ცენტრი



ხორციელდება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილის მიხედვით

კეთდება სამინისტროების მიერ, გადამოწმებას ახდენს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის სამთავრობო ოფისი

პარლამენტების როლი

უმალესი მაკოორდინირებელი ორგანო



N/A



ევროინტეგრაციის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან:

- პარლამენტის სპიკერი
- ყველა კომიტეტის თავმჯდომარე
- ევროკავშირ-მოლდოვას ასოცირების საპარლამენტო კომიტეტის თანათავმჯდომარე
- ევრონესტის თანათავმჯდომარე
- პარლამენტის საჯარო მოხელეები



ევროინტეგრაციის ერთობლივი საპარლამენტო-სამთავრობო პლატფორმა რომელსაც თავმჯდომარეობს პარლამენტის თავმჯდომარე და ვიცე-პრემიერი



წამყვანი საპარლამენტო კომიტეტები

- ევროინტეგრაციის კომიტეტი
- დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი -
- 🔍 ზედამხედველობას უწევს DCFTA-ს შესრულებას
- საგარეო პოლიტიკისა და ევროპული ინტეგრაციის კომიტეტი
- იურიდიული კომიტეტი
- 👁️ Committee: ზედამხედველობას უწევს სამართლებრივი აქტის პროექტების შესაბამისობას ასოცირების ხელშეკრულებასთან
- 🗣️ ატარებს მოსმენებს ასოცირების ხელშეკრულებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის აღსრულებასთან დაკავშირებით
- უკრაინის ევროკავშირში ინტეგრაციის კომიტეტი

ასოცირების ხელშეკრულების შესრულების დოკუმენტები

- 📊 ასოცირების ხელშეკრულების შესრულების პარლამენტის 2020-2021 სამოქმედო გეგმა
- 📊 ასოცირების ხელშეკრულების შესრულების 2017 წლის საპარლამენტო საკანონმდებლო პროგრამა
- 📊 განახლებული საკანონმდებლო პროგრამა უნდა შემუშავდეს მას მერე რაც მთავრობა მიიღებს ასოცირების ხელშეკრულების ახალ სამოქმედო გეგმას
- 📊 2021 წლის სექტემბერში ასოცირების ხელშეკრულების შესრულების მაკოორდინირებელმა კომისიამ დაამყიყა ხელშეკრულების შესრულების 52 სამოქმედო გეგმა

ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე კანონპროექტები

- ✔️ საჭიროა თან ჰქონდეს ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის ცხრილი
 - ✔️ საჭიროა თან ჰქონდეს ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის ცხრილი
 - ❌ ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის ცხრილი არ არის საჭირო მაგრამ თან უნდა ერთოდეს მთავრობის კანცელარიისა და წამყვანი საპარლამენტო კომიტეტის დასკვნა
- ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის ცხრილი არ არის საჭირო მაგრამ თან უნდა ერთოდეს მთავრობის კანცელარიისა და წამყვანი საპარლამენტო კომიტეტის დასკვნა
- 🏛️ წარმოდგენილია მთავრობის მიერ
 - 🏛️ წარმოდგენილია მთავრობის მიერ
 - 👤 წარმოდგენილია პარლამენტის წევრების მიერ

ევროინტეგრაციის კომიტეტი

წევრების რაოდენობა



საქართველო

13 წევრი 149-დან

თავმჯდომარის პოლიტიკური აფილაცია
ქართული ოცნება



მოლდოვა
საგარეო პოლიტიკისა და
ევროინტეგრაციის კომიტეტი

9 წევრი 101-დან

თავმჯდომარის პოლიტიკური აფილაცია
**მოქმედებისა და
სოლიდარობის პარტი**



უკრაინა

9 წევრი 422-დან

თავმჯდომარის პოლიტიკური აფილაცია
ევროპული სოლიდარობა

👤 მონაწილეობს კანონპროექტის ყველა მოსმენაში

🔒 კომიტეტის დასკვნა სამართლებრივად სავალდებულო არ არის

👤 მინიმალური როლი კანონშემოქმედებით პროცესში

🔒 კომიტეტის დასკვნა სამართლებრივად სავალდებულო არ არის

👤 მონაწილეობს კანონპროექტის პირველ მოსმენაში

🔒 კომიტეტის დასკვნა სამართლებრივად სავალდებულო არ არის

კომიტეტის აპარატის წევრების რაოდენობა

11



7



9



👤 კანონშემოქმედების პროცესში მონაწილეობა

🔒 წონა პარლამენტში

სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები

➤ ასოცირების ხელშეკრულების შესრულების 2021 წლის სამოქმედო გეგმა

➤ DCFTA-ს ეროვნული განხორციელება 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა

➤ DCFTA-ის შესრულების 2021 წლის სამოქმედო გეგმა⁴

➤ საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების სტრატეგია 2021-2025 წლებისთვის

➤ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2019 წლის საგზაო რუკა⁵

➤ ასოცირების ხელშეკრულების შესრულების 2021 წლის სამოქმედო გეგმა

➤ ასოცირების ხელშეკრულების შესრულების 2017-2024 წლის სამოქმედო გეგმა (შესწორდა 2019 წელს)⁶

➤ 2019-2024 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა (რომელიც მოიცავს 17-ე თავს ON "ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის შესახებ")⁷

➤ ევროინტეგრაციის კომუნიკაციის სტრატეგია 2022-2025 წლებისთვის (დასამტკიცებელია)

⁴ <https://bit.ly/2Z0Kso9>

⁶ <https://bit.ly/2qFiZqF>

⁵ <https://bit.ly/2CzGC6T>

⁷ <https://bit.ly/34YVLuF>

კონფლიქტების გადაჭრა და საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის სფეროში თანამშრომლობა

კონფლიქტების გადაჭრა



- ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და საქართველოს კრიზისის საკითხებში
- ჟენევის საერთაშორისო დისკუსია ევროკავშირის (გაეროსა და ეუთოსთან ერთად) თანათავმჯდომარეობით



- ევროკავშირი დამკვირვებელია 5+2 მოლაპარაკების პროცესში დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარების თემაზე



- საფრანგეთი და გერმანია მონაწილეობენ ე.წ. „ნორმანდიის ფორმატის“ მოლაპარაკებებში
- ევროკავშირი მონაწილეობს ეუთოს სპეციალურ მონიტორინგის მისიაში

მონაწილეობა რუსეთის მიმართ ევროკავშირის მიერ ამოქმედებულ სანქციებში



არა



არა



დიახ

(2014 წლიდან)

კონფლიქტური ტერიტორიები



არ ხდება DCFTA-ის გავრცელება



არა ხდება DCFTA-ის გავრცელება



არ ხდება DCFTA-ის გავრცელება

ერთობლივ საგარეო და თავდაცვის



ევროკავშირის მონიტორინგის მისია საქართველოში (EUMM)



207 მონიტორი



უკრაინის უსაფრთხოების სექტორის რეფორმირებისთვის ევროკავშირის მრჩეველთა მისია (EUAM)



100-200 თანამშრომელი



ევროკავშირის სასაზღვრო მისია მოლდოვასა და უკრაინაში (EUBAM)



100-200 თანამშრომელი

(მათ შორის სავსე ოფიცრები და ადგილობრივი თანამშრომლები) იმართება მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ) <https://eubam.org/>

ევროკავშირის მისიებსა და ოპერაციებში მონაწილეობა



EUFOR RCA ოპერაცია ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში



ევროკავშირის სასწავლო მისია მალიში



ევროკავშირის სასწავლო მისია მალიში



ევროკავშირის სამხედრო მრჩეველთა მისია ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში



ევროკავშირის საპოლიციო მისია ბოსნია-ჰერცეგოვინაში (2003-2012 წწ.)



ევროკავშირის საპოლიციო მისია ყოფილ იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიაში (EUPOL 'Proxima') (2003-2005)



EU NAVFOR ATALANTA სომალისთან (2014)



ევროკავშირის საბრძოლო შენაერთი HELBROC

ევროკავშირის საბრძოლო შენაერთებში მონაწილეობა



არა




არა



დიახ

ეკონომიკური ურთიერთობები ევროკავშირთან და ერთმანეთს შორის


ცვლილებები სავაჭრო სტრუქტურაში (ევროკავშირ/რუსეთი)




სამი ძირითადი სავაჭრო (საქონლით ვაჭრობა) პარტნიორი ევროკავშირის ქვეყანა (2020 წლის ბრუნვის მიხედვით)




საქონლით ვაჭრობა ერთმანეთს შორის (2020 წლის მაჩვენებლით) (% წილი ექსპორტისა და იმპორტის საერთო მაჩვენებელში)



თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან (დსთ)




თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება რუსეთთან



ასოცირების ხელშეკრულებისა და DCFTA-ს ამოქმედების შემდეგ ხელმოწერილი სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები



თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები რომლებიც მოცემულ ეტაპზე განხილვის/მოლაპარაკებების პროცესშია



⁸ <https://bit.ly/3j4HZA0>

შეჯამება და ასოცირების ხელშეკრულების ძირითადი თავების შესრულების რეიტინგი

საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულებისა და DCFTA-ის ძირითადი თავების შესრულება⁹



საქართველო



მოლდოვა



საქართველო

პოლიტიკური პრინციპები, კანონის უზენაესობა

➤ არჩევითი დემოკრატია	1	არაფუნქციური დემოკრატია, ერთპარტიული პარტლამენტი ¹⁰	2	გაუმჯობესება აშკარაა არასტაბილურობისა და ოლიგარქიული მმართველობის შემდეგ	2.5	უახლესი არჩევნები ძირითადად სტანდარტების დაცვით ჩატარდა
➤ ადამიანის უფლებების დაცვა	2	პატივისცემა არსებობს თუმცა დაპატიმრებული პოლიტიკური პარტიის ლიდერი	2	უმცირესობათა დისკრიმინაციის შემთხვევები; პრობლემები დნესტრისპირეთში	2	მძიმე მდგომარეობაა დონსსა და ყირიმში; სხვა მხრივ სახეზეა გაუმჯობესება
➤ კანონის უზენაესობა	2	მართლსაჯულების სფეროში ადგილი აქვს პოლიტიკურ ჩარევებს	1.5	პოლიტიკურად კორუმპირებული მართლსაჯულება, რომელიც რეფორმას საჭიროებს	1.5	მართლსაჯულების რეფორმა სასწრაფოდ გასატარებელი პროგრესი არათანმიმდევრულია
➤ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა	2.5	დაბალი დონის კორუფცია არ არსებობს, თუმცა სერიოზული გამოწვევაა ზედა დონის კორუფცია	1	არასახარბიელო მიღწევები მაგრამ საკითხი ახალი პრეზიდენტის პრიორიტეტია	1	უმნიშვნელო გაუმჯობესება; არათანმიმდევრული მიდგომა ლიდერების მხრიდან

DCFTA

➤ ბაზარზე ხელმისაწვდომობა	3	სრულიად გახსნილია საქონლისა და მომსახურებისათვის	2	ინდუსტრიული პროდუქტზე ტარიფი არ მოქმედებს; ავროპროდუქტებზე ტარიფები შენარჩუნებულია	2	ვაჭრობის სტრუქტურის ცვლილება რუსეთიდან ევროკავშირისა და ჩინეთისკენ
➤ საბაჟო მომსახურება	3	სწრაფი, ეფექტიანი და კორუფციის გარეშე	2	პროგრესი არის თუმცა მოძველებული ინფრასტრუქტურა და კორუფცია	2	დიდი წინააღმდეგობა რეფორმების მიმართ; გარკვეული წინსვლა შეიმჩნევა
➤ ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში (TBT)	2	შეიმჩნევა პროგრესი სტანდარტიზაციისა და ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების კუთხით	2.5	სახეა ევროკავშირის სტანდარტების დანერგვა	2	მნიშვნელოვანი პროგრესია სტრატეგიის შესრულების კუთხით
➤ სურსათის უსაფრთხოება (SPS)	2	მიღებულია სტრატეგია 2027 წლამდე	1.5	სრულყოფილია SPS სტრატეგია, მაგრამ სახეზეა ინსტიტუციური სისუსტეები	2	სტრატეგია მიღებულია; პროგრესია იმპლიმენტაციის კუთხითაც
➤ მომსახურება	3	უაღრესად ლიბერალური რეჟიმი	2	ლიბერალური რეჟიმი იმპორტზე დაარსებაზე	2.5	უკრაინას უფრო ლიბერალული მიდგომა აქვს ვიდრე ევროკავშირის საწარმოო დაფუძნებასთან დაკავშირებით
➤ საჯარო შესყიდვები	3	ეფექტიანი და მაღალრეიტინგული სისტემა	2	საგრძნობი პროგრესი სისტემის ევროკავშირის სტანდარტებით მოდერნიზაციის პროცესში	2.5	ელექტრონული შესყიდვის სისტემა მიღებულია; არსებობს რეგრესის რისკი
➤ ინტელექტუალური საკუთრების დაცვა (IPR)	2.5	დიდწილად თანხვედრაშია საერთაშორისო პრაქტიკასთან	1.5	სამართლებრივი ჩარჩოს მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილზეა, თუმცა პრობლემებია აღსრულების ნაწილში	1.5	მცირე პროგრესი IPR დაცვის კუთხით
➤ კონკურენცია	2	დიდწილად თანხვედრაშია ევროკავშირის კანონმდებლობასთან	1.5	საჭიროა კონკურენციის საბჭოს შესაძლებლობების გაზრდა	2	კანონმდებლობა მონესრივებულია
➤ სტატისტიკა	2	მნიშვნელოვანი პროგრესი ევროკავშირის სტანდარტებთან თანხვედრის კუთხით	2	ევროკავშირის პრაქტიკის პროგრესული იმპლიმენტაცია	2	მნიშვნელოვანი პროგრესი ევროკავშირის მეთოდოლოგიების დანერგვაში

⁹ Note: ratings follow the methodology that the European Commission uses in its annual evaluation of the Balkan states, where 3 is a good rating in preparedness in relation to EU standards, 2 indicates moderate preparation, and 1 some preparation. Source for the ratings: M. Emerson et al, op. cit.

¹⁰ აღნიშნული რეიტინგი მომზადდა 2021 წლის თებერვალში, როდესაც საქართველოში მწვავე პოლიტიკური კრიზისი იყო და გადახედვა მოხდა მაისში.

საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულებისა და DCFTA-ის ძირითადი თავების შესრულება



საქართველო



მოლდოვა



საქართველო

ეკონომიკური თანამშრომლობა

<p>➤ მაკროეკონომიკული პოლიტიკა</p>	2	ძლიერი პოლიტიკა თუმცა მონყვლია ვარე შოკების მიმართ	1.5	მონყვლია შოკების მიმართ; დამოკიდებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და ევროკავშირის სესხებზე	1.5	მონყვლია შოკების მიმართ; დამოკიდებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და ევროკავშირის დახმარებებზე
<p>➤ ფინანსური მომსახურება</p>	2.5	ძლიერი საბანკო სექტორი, ხდება ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება	2	ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა 2014 წლის საბანკო თაღლითობის გამოძიება და თანხების დაბრუნება	2	მიმდინარეობს ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება
<p>➤ ტრანსპორტი</p>	2.5	მნიშვნელოვანი რეგიონული ფუნქცია, ხდება ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება	1.5	სამოქალაქო ავიაციის კუთხით შეიმჩნევა საგრძნობი პროგრესი	1	სახმელეთო ტრანსპორტის სფერო საჭიროებს უკრაინისა და ევროკავშირის ჩარევას
<p>➤ ენერჯეტიკა</p>	1	რამოდენიმე მნიშვნელოვანი ვალდებულება შესასრულებელი რჩება	2	პროგრესია რუმინეთთან გაზისა და ელექტროსისტემების დაკავშირების კუთხით	2	ძირითადი გამოწვევები დაძლეულია; მოხდა მიერთება ევროკავშირის მწვანე შეთანხმებასთან
<p>➤ გარემოს დაცვა</p>	2	ეტაპობრივი დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან ხანგრძლივი გარდამავალი პერიოდების გათვალისწინებით	1.5	რთულად შესასრულებელი ვალდებულებები. პროგრესია კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებით	2	ხორციელდება ყოვლისმომცველი, ძირითადი და გრძელვადიანი მოქმედებები
<p>➤ დიგიტალიზაცია და კიბერუსაფრთხოება</p>	3	მონინავე დიგიტალური და კიბერ უსაფრთხოების რეჟიმები	2	წარმოადგენს სწრაფად მზარდ სექტორს, ელექტრონული მმართველობა პროგრესირებს სუსტია კიბერუსაფრთხოება	2.5	დიგიტალური და კიბერუსაფრთხოების სექტორი დინამურია
<p>➤ მომხმარებელთა უფლებების დაცვა</p>	1.5	ეტაპობრივი დაახლოება, აღნიშნული სექტორი იკონორირებული იყო წინა ხელისუფლების პირობებში	1	ხშირია მომხმარებელთა უფლებების დარღვევის შემთხვევები	1.5	პროგრესი შეიმჩნევა სურსათის უსაფრთხოებაში თუმცა დიდი ნაწილი კვლავ შესასრულებელია
<p>➤ ბიზნეს სამართალი</p>	2	მიმდინარეობს ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეროვნული კანონმდებლობის დაახლოება	1.5	რეფორმები ხორციელდება თუმცა ადგილი აქვს გარკვეულ დაგვიანებებს	1.5	კანონდებლობა ადგილობრივ თუმცა პრობლემებია აღსრულების კუთხით
<p>➤ დასაქმება & სოციალური პოლიტიკა</p>	2	პროგრესი უსაფრთხოების სტანდარტების დანერგვასთან დაკავშირებით მაგრამ პრობლემები ისევ რჩება (ქვანახშირის მოპოვების სფერო)	2	საკანონმდებლო დაახლოება ძირითადად დასრულებულია. კოვიდ პანდემიამ ძალიან მძიმე კვალი დატოვა.	2	შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კონვენციები რატიფიცირებულია მაგრამ გამოწვევებია შრომის კოდექსის კუთხით
<p>➤ სავიზო რეჟიმი და მგზავრთა გადაადგილება</p>	1.5	დადებითი დინამიკა ევროკავშირთან მიმართებით მაგრამ მზარდი უსაფრთხოება თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა	1.5	ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი ფართოდ გამოიყენება; გაზრდილია უსაფრთხო თავშესაფრის მაძიებლების რაოდენობა	2.5	მასიურად ხდება უვიზო მიმოსვლით სარგებლობა; თუმცა დროებით პრობლემას ქმნის კოვიდპანდემია
<p>➤ განათლება და კულტურა</p>	2	მიმდინარე რეფორმის პროცესი, თუმცა სუსტია საშუალო განათლების სტანდარტები	2.5	ხელსაყრელია სასკოლო სტანდარტები, მაგრამ საჭიროა განათლების რეფორმა	2.5	ევროკავშირის სხვა მეზობლებისგან განსხვავებით ადგილობრივი განათლების მაღალი სტანდარტები
<p>➤ გენდერული თანასწორობა</p>	2	გარკვეული პროგრესი გენდერული მენისტრინის თვალსაზრისით თუმცა პრობლემას წარმოადგენს ქალებისა და კაცების ანაზღაურებას შორის არსებული განსხვავება	2.5	შეიმჩნევა გარკვეული პოზიტივი, რაც დიდწილად ქალი პრემიერმინისტრის დამსახურებაა	2.5	პროგრესია ევროკავშირის სხვა მეზობლებთან შედარებით
<p>➤ სამოქალაქო საზოგადოება</p>	2.5	არასამთავრობო ორგანიზაციები ეფექტიანად ახერხებენ ხელისუფლების ანგარიშვალდებულების შენარჩუნებას	2.5	ახერხებენ ხელისუფლების ანგარიშვალდებულების შენარჩუნებას	3	კომპეტენტურია და მძლავრად ადვოკატირებს რეფორმების გატარების კუთხით

მეთოდოლოგია

სპეციფიკური მეთოდოლოგია იქნა გამოყენებული ასოცირების ხელშეკრულებისა და DCFTA-ს ძირითადი თავების შესრულების პროგრესის შესაფასებლად. გარდა თითოეული თავის გასწვრივ წარმოდგენილი მოკლე შეფასებებისა ასევე წარმოდგენილია ნუმერაცია 1-დან 3-მდე. ეს იმეორებს ევროკავშირის მიერ დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების ხელშეკრულების იდენტური თავების მისამართით გამოყენებულ შეფასებას. ზოგადად შეიძლება ითქვას რომ 3 ქულა აღნიშნავს კარგ პროგრესს, 2 ქულა საშუალო პროგრესს, 1 ქულა მცირე პროგრესს, ხოლო 0 ქულის შემთხვევაში პროგრესი საერთოდ არ გვაქვს.

დეტალური ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია შემდეგ პუბლიკაციებში:

Ukraine

Emerson et al. (2021) Deepening EU-Ukrainian Relations: Updating and Upgrading in the Shadow of COVID-19. Third Edition.

Source: <https://3dcftas.eu/publications/deepening-eu-ukrainian-relations-updating-and-upgrading-in-the-shadow-of-covid-19.-third-edition>

Moldova

Emerson et al. (2021) Deepening EU-Moldovan Relations: Updating and Upgrading in the Shadow of COVID-19. Third Edition.

Source: <https://3dcftas.eu/publications/deepening-eu-moldovan-relations-updating-and-upgrading-in-the-shadow-of-covid-19.-third-edition>

Georgia

Emerson et al. (2021) Deepening EU-Georgian Relations: Updating and Upgrading in the Shadow of COVID-19. Third Edition.

Source: <https://3dcftas.eu/publications/deepening-eu-georgian-relations-updating-and-upgrading-in-the-shadow-of-covid-19.-third-edition>

